დამტკიცებულია
ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების
დირექტორის 2024 წლის 22 ნოემბერის
№01-02/64 ბრძანებით

ა(ა)ი.პ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების 2025-2029 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა

1. შესავალი

ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების 2025-2029 წლების სტრატეგიული გეგმის მიზანია განსაზღვროს სტრატეგიული მიმართულებები და ამოცანები, რომლებითაც გაერთიანება იხელმძღვანელებს მომავალი ხუთი წლის განმავლობაში.

2025-2029 წწ ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების განვითარების სტრატეგია არის საშუალოვადიანი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს მუნიციპალიტეტში სკოლამდელი განათლების სფეროში განვითარების ძირითად პრინციპებს. ადგენს სკოლამდელი განათლების სფეროს განვითარების საჭირო პირობებს. ასევე ეს დოკუმენტი განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი განათლების სფეროს განვითარების ძირითად პრიორიტეტებს და გამოწვევებს, ადგენს სკოლამდელი განათლების განვითარების მიზნებს, ამოცანებს და მათი რეალიზაციის გზებს.

2. ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების მისია, ხედვა და ღირებულებები

მისია:

ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების მისიაა:
ბავშვთა სკოლამდელი განვითარებისთვის ხელშემწყობი მეგობრული გარემოს შექმნა, ბავშვების უნიკალური შესაძლებლობების და საჭიროებების გამოვლენა, ჰარმონიულ და მრავალმხრივ განვითარბაზე ზრუნვა.

ხედვა:

ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების ხედვაა:

1. სკოლამდელი აღზრდის საყოველთაობა;
2. საბავშვო ბაღებში ხარისხიანი ინკლუზიური განათლება;
3. სკოლამდელ დაწესებულებებში სწავლების ისეთი მიდგონების დანერგვა რომელიც იძლევა საშუალებას ბავშვმა თამაშით აღმოაჩინოს და შეიცნოს გარემო.
4. სკოლამდელი განათლების სფეროში თანამედროვე მიდგომების გამოყენებით საუკეთესო პრაქტიკის ინიცირება;
5. სკოლამდელი განათლების სფეროში ცოდნის გაღრმავება და გამოცდილების გაზიარება;
6. აღმზრდელ პედაგოგების პროფესიული განვითარებაზე ზრუნვა და ხელშეწყობა;
7. ზრუნვა როგორც ბავშვების, ასევე დაწესებულების თანამშრომელთა ფიზიკურ კეთილდღეობაზე;

8. მშობლების და ბაღის პერსონალის თანამშრომლობა;

ღირებულებები:

ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების ღირებულებებია

- თანასწორუფლებიანობა- სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში თანასწორი და სამართლიანი გარემოს შექმნა;
- *გუნდურობა;*- დაწესებულების თანამშრომელთა შეთანხმებული მუშობა;
- გამჭვირვალობა.- ორგანიზაციის მუშაობა ღიად, მოლოდინების შესაბამისად და გასაგებად;
- *თანამშრომლობა*- მჭიდრო თანამშრომლობა სხვადასხვა ორგანიზაციასთან, მშობლების და ბაღის პერსონალის თანამშრომლობა;
-
- *ბავშვის უფლებებისა და ინტერესების დაცვა*- „ბავშვის კეთილდღეობის უზრუნველყოფა;
- *უწყვეტი განვითარებისკენ სწრაფვა*- უწყვეტი პროფესიული განვიტარება,

სტრატეგიული გეგმის შემუშავების მიზნით, ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების განვითარების დირექტორის ბრძანების საფუძველზე, მიმდინარე წლის დასაწყისში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი გაერთიანების ადმინისტრაციისა, სტრუქტურული ერთეულების მონაწილეობით. ჯგუფმა მოამზადა საჭიროებების შეფასება (SWAT ანალიზი) და ამ პროცესის დასრულების შემდეგ გაიმართა სამუშაო შეხვედრები, რომლებიც მიზნად ისახავდა საჭიროებათა შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების განვითარების სტრატეგიის განსაზღვრასა და სამოქმედო გეგმის შემუშავებას.

3. სიტუაციური ანალიზი.
რისკების შეფასება (SWOT) ანალიზი

არსებული ვითარების ზოგადი მიმოხილვა და გამოწვევები

ქედის მუნიციპალიტეტი შედგება 64 ტერიტორიული ერთეულისაგან, რომელიც გაერთიანებულია 1 დაბასა და 9 ადმინისტრაციული ერთეულში. ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა შეადგენს დაახლოებით 16 300. ადამიანს აქედან 2- დან 6 წლამდე ასაკის დაახლოებით ბავშვია, რომელთაგან მუნიციპალიტეტის ადრეული განათლების სერვისით სარგებლობს 434 ბავშვი. მიუხედავად იმისა რომ, მუნიციპალიტეტში ბავშვთა რაოდენობა არ არის მაღალი მაინც არსებობს დიდი მოთხოვნა მოსახლეობის მხრიდან სკოლამდელი დაწესებულების მომსახურეობის სარგებლობისათვის, რადგან საბავშვო ბაგა-ბაღი წარმოადგენს დაწესებულებას სკოლამდელი ასაკის ბავშვების საზოგადოებრივი აღზრდისათვის და პირველ რგოლს განათლების სისტემაში.

მუნიციპალიტეტის თვითმართველი ორგანოს უფლებამოსილების განხორციელების მიზნით 2011 წლის 3 იანვარს N-01-20/2 განკარგულლებით დაფუძნდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირი ქედის ბაგა- ბაღების გაერთიანება, რომელიც ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ამჟამად ახორციელებს ამ სფეროში საქმიანობას.

დღეისათვის მუნიციპალიტეტის ცხრა ადმინისტრაციულ ერთეულში 15 საბავშვო ბაღი ფუნქციონირებს, სადაც ჩარიცხულია 434 ბავშვი, დასაქმებულია 256 თანამშრომელი მათ შორის 68 აღმზრდელი, 35 აღმზრდელის თანაშემწე, 13 მუსიკის მასწავლებელი, 4 ფსიქოლოგი, 6 ლოგოპედი დანარჩენი ადმინისტრაცია და ტექნიკური პერსონალი.

მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი დაწესებულებების რაოდენობა სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ დააკმაყოფილოს მუნიციპალიტეტში არსებული მოთხოვნა, აქედან გამომდინარე უახლოეს მომავალში არ იგეგმება ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა.

შიდა	**ძლიერი მხარეები** ➢ გუნდურობა და თანამშრომლობა; ➢ ტექნოლოგიური პროგრესი; ➢ უწყვეტი პროფესიული განვითარებისკენ სწრაფვა; ➢ ადგილობრივი მუნიციპალიტეტისა და ბაგა-ბაღების გაერთიანების კოორდინირებული თანამშრომლობა	**სუსტი მხარეები** ➢ სტანდარტების შეუსაბამო ინფრასტრუქტურა; ➢ ოჯახის ჩართულობა; ➢ საბავშვო ბაღებში სსმ და შშმ ბავშვებისთვის შესაბამისი სერვისების მიწოდება; ➢ პერსონალის კომპეტენციები; ➢ ინკლუზიური განათლება
გარე	**შესაძლებლობები** ➢ მატერიალური ტექნიკური ბაზის განახლება, შეკეთება; ➢ „ადრეული განათლების კურიკულიმი–თამაში“ დანერგვა. ➢ ოჯახთან და თემთან თანამშრომლობის გაძლიერება; ➢ უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა ➢ ინკლუზიური განათლება;	**საფრთხეები** ➢ მიგრაციის მაღალი მაჩვენებელი; ➢ პერსონალის შრომის ანაზღაურება; ➢ კადრების გადინება;

ძლიერი მხარეები.

➢ **გუნდურობა და თანამშრომლობა.**

დაწესებულების ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობისა და გუნდური მუშაობის პრინციპს. მართვის ორგანიზაციული სტილი არის „ჩვენ“, რაც ქმნის დაწესებულებაში პერსონალის ერთობის ჩამოყალიბებას. დაწესებულების თანამშრომელთა შეთანხმებული მუშობა, სხვისი აზრების იდეების მოსმენა და გაზიარება, ნდობა, მხარდაჭერა, როლებისა და ფუნქციების გადანაწილება ხელს უწყობს დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების ეფექტიანობას და პროცესის მდგრადობას.

➢ **ტექნოლოგიური პროგრესი**

ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების ყველა სტრუქტურული ერთეული აღჭურვილია კომპიუტერებით, რომლებიც ჩართულია ინტერნეტ ქსელში და ხელმისაწვდომია ყველა საგანმანათლებლო პერსონალისათვის

- **უწყვეტი პროფესიული განვითარებისკენ სწრაფვა;**

ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება ზრუნავს საგანმანათლებლო პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარებისათვის, სხვადასხვა ტრენინგების, კურსების, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას;

- **ადგილობრივი მუნიციპალიტეტისა და ბაგა-ბაღების გაერთიანების კოორდინირებული თანამშრომლობა;**

ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება თავისი ფუნქცია მოვალეობების შესრულებისას თანამშრომლობს ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან

სუსტი მხარეები

- **სტანდარტების შეუსაბამო ინფრასტრუქტურა;**

ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების ერთ-ერთი გამოწვევაა მუნიციპალიტეტში არსებული ბაღების უმრავლესობა, რომლებიც არასტანდარტულ შენობებშია განთავსებული და შესაბამისად რთულდება ამ შენობების სტანდარტებზე მორგება. ბაღების ნაწილი განთავსებულია შენობების მეორე სართულზე და არ არის ადაფტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე, ასევე ბაღების უმრავლესობას არ აქვს ადაფტირებული სველი წერტილები.
ერთ-ერთი პრობლემა, რომელიც ინფრასტრუქტურის მხრივ დგას ეს არის რიგი ბაღების ეზოები და მათი ფართობები, რომლებიც ძალიან პატარაა და ვერ პასუხობს ხარისხის სტანდარტის მოთხოვნებს. ფართობების სიმცირის გამო ვერ ხერხდება ეზოებში სტანდარტებისა და კურიკულუმის შესაბამისად სივრცეების მოწყობა.

- **ოჯახის ჩართულობა;**

ბავშვებთან ეფექტური მუშაობა ოჯახებთან პარტნიორული ურთიერთობების გარეშე შეუძლებელია. საუკეთესო შედეგებს ოჯახის და საბავშვო ბაღის მიდგომების თანხვედრა და მათი შეთანხმებული მოქმედება განაპირობებს. დღესდღეობით დაწესებულებისა და ოჯახის თანამშრომლობა არ არის სისტემური, შემოიფარგლება ბაღებში საკონსულტაციო საბჭოების შექმნით და ცალკეული შეკრებებით. მშობლები არ არიან სრულყოფილად ჩართული ბაღის ცხოვრებაში,
აუცილებელია მშობლებთან მუშაობა, ბაღი ვალდებულია ითანამშრომლოს მშობელთან, იზრუნოს მათი ცნობიერების ამაღლებაზე, ერთად იზრუნონ ბავშვის განვითარებაზე,ჩართონ მშობელი კურიკულუმის ფარგლებში დაგეგმილ აქტივობებში, გაუზიარონ ბაცშვის მიღწევები და დაგეგმონ სამომავლო ნაბიჯები.

- **საბავშვო ბაღებში სსმ და შშმ ბავშვებისთვის შესაბამისი სერვისების მიწოდება;**

ინკლუზიური განათლების სფეროში ბოლო წლებში განხორციელებული დადებითი ცვლილებების მიუხედავად, ყველა ბავშვის თანასწორი ჩართვა ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში კვლავ გამოწვევად რჩება. ბაღის გარემო ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გზა არის ბავშვის განვითარების ხელშეწყობისთვის. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ ბავშვს დამატებითი მხარდაჭერა სჭირდება, გადამწყვეტია, მან ეს მხარდაჭერა სწორედ ბაღის გარემოში მიიღოს. აუცილებელია სკოლამდელი დაწესებულება იყოს შესაბამისად ადაფტირებული და მიმდინარე საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესები პასუხობდეს ყველა ბავშვის ინდივიდუალურ თავისებურებებს და საჭიროებებს.ამ მხრივ აუცილებელია დაწესებულებების ფიზიკური

გარემოს ადაფტირება და საგანმანათლებლო პერსონალის გაძლიერება ინკლუზიური განათლების უზრუნველსაყოფად.

- **პერსონალის კომპეტენციები;**

დაწყებული რეფორმებისა და გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, ჯერ კიდევ არის გამოწვევები, რომლებიც საჭიროებს ყურადღებასა და რეაგირებას. აღსაზრდელისთვის შესაბამისი მომსახურების მისაწოდებლად აუცილებელია ხარისხი, რაც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ბაღში მომუშავე ადამიანების კვალიფიკაციაზე. სკოლამდელ დაწესებულებებში მომსახურე პერსონალის კვალიფიკაცია ერთ-ერთი უმთავრესი საკითხია. ის არასაკმარისია ბაღის მიერ სტანდარტებით განსაზღვრული ამოცანების განსახორციელებლად. მიუხედავად იმისა, რომ ყველა აღმზრდელს გავლილი აქვს გადამზადება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული განვითარების 66 საათიანი ტრენინგ-მოდულის შესაბამისად და ასევე გავლილი აქვთ კიდევ სხვა და სხვა ტრენინგ მოდულები, ჯერ კიდევ ბევრია სამუშაო კომპეტენციების ამაღლების მხრივ, აღმზრდელებს უჭირზთ თეორიული ცოდნის პრაქტიკაში განხორციელება, ბაღების უმრავლესობას არ ჰყავთ მეთოდისტები, რომლებიც უხელმძღვანელებენ საგანმანათლებლო პროცესს. აღმზრდელის თანაშემწეების უმეტესი ნაწილი საშუალო განათლებითაა, ქედის მუნიციპალიტეტში მათთვის არ არის ხელმისაწვდომი მოსამზადებელი საგანმანათლებლო პროგრამები. რეგიონში არსებობს საგანმანათლებლო დაწესებულებები, როგორც უმაღლესი ასე პროფესიული, რომლებსაც აქვთ სკოლამდელი განათლების პროგრამები, სადაც შეუძლიათ გადამზადდნენ, თუმცა, ეს საგანმანათლებლო დაწესებულებები არის ქალაქის ტერიტორიაზე, და საკმაო მანძილით დაშორებული ჩვენი მუნიციპალიტეტიდან, რის გამოც პერსონალი ვერ ახერხებს გადამზადდეს.

 დაბალი ანაზღაურების გამო ბაღებში კვალიფიციური კადრების ნაკლებობაა. ანაზღაურება და კარიერული წინსვლის მწირი შესაძლებლობა მათ დეფიციტს განაპირობებს. ეს ყველაფერი ცხადყოფს, რამდენად საჭიროებენ ეს ადამიანები სწავლებას, პროფესიულ განვითარებას.
ამ მიმართულებით საჭიროა სწორი სტრატეგიის შემუშავება და კონკრეტული ნაბიჯების დაგეგმვა და განხორციელება, რომელიც უზრუნველყოსფ პერსონალის კომპეტენციების ამაღლებას და პრაქტიკის გაუმჯობესებას.

შესაძლებლობები

- **მატერიალური ტექნიკური ბაზის განახლება, შეკეთება;**

ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების სტრუქტურულ ერთეულებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლება ეტაპობრივად ხორციელდება, ამისათვის ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ხდება ფინანსების გამოყოფა. ასევე ბაღების გაერთიანება ახორციელებს არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეკეთებას და მოწესრიგებას, რაც ხელს შეუწყობს ხარისხიანი სკოლამდელი განათლების მიწოდების უზრუნველყოფას და ავტორიზაციის მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

- **„ადრეული განათლების კურიკულიმი–თამაში“ დანერგვა.**

ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანებას ჯერჯერობით ჯერჯერობით არა აქვს დეკლალირებული კურიკულუმი სასწავლო სააღმზრდელო პროცესი ხორციელდებოდა “სასწავლო სააღმზრდელპ პროგრამა თბილისის ბაგა-ბაღებისათვის“, რომელიც არ არის საგანმანათლებლო კურიკულუმი და წარმოადგენს აქტივობათა კრებულს. ავტორიზაციის წესის ერთერთი სტანდარტი , რომელიც აუცილებლად უნდა იყოს სკლამდელ დაწესებულებაში არის კურიკულუმი. დეკლარირებული კურიკულუმი, რომლის შესაბამისად უნდა ხორციელდებოდეს საბავშვო ბაღში საგანმანათლებლო პროცესი. ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება

მუშაობს სააღმზრდელო დაწესებულებებში ახალი კურიკულუმი “თამაში“-სა და სასკოლო მზაობის პროგრამა „თ ა მ ა შ ი“ დანერგვისათვის.

- **ოჯახთან და თემთან თანამშრომლობის გაძლიერება;**

საბავშვო ბაღი უნდა უზრუნველყოფდეს საგანმანათლებლო პროცესში ოჯახთან და თემთან აქტიურ თანამშრომლობას. ხელი უნდა შეუწყოს ბავშვების ოჯახების ჩართულობას სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის მიმდინარეობის თითოეულ ეტაპზე და ითანამშრომლოს თემში არშებულ სხვადასხვა დაწესებულებებთან.

- **უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა;**

პერსონალის კომპეტენციები და პროფესიული განვითარება უწყვეტი პროცესია და ამ მხრივ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება აქტიურად მუშაობს აორგანიზებს ტრენინგებს აღმზრდელ მასწავლებელებისათვის და ბაღის ხელმძღვანელებისათვის. მუშაობს მეთოდური სახელმძღვანელოების შეძენაზე და ბაღებში სივრცეების მოწყობაზე სადაც საგანმანათლებლო პერსონალი შეძლებს გაეცნოს მეთოდურ მასალებს და იმუშაოს თვითგანვითარებაზე.
გეგმავს შეხვედრბისა და ვორკშოპების მოწყობას სადაც საგანმანათლებლო პერსონალს შეუძლია გაეცნონ და გაუზიაროსნ ერთმანეთს მიღწევები და საუკეთესო პრაქტიკა.

საფრთხეები

- **მიგრაციის მაღალი მაჩვენებელი;**

ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების 15 საგანმანათლებლო დაწესებულებაში ირიცხება დაახლოებით 434 ბავშვი, რაც გაცილებით ნაკლებია წინა წლებთან შედარებით. ყოველწლიურად აღსაზრდელთა კონტიგენტი მცირდება, რაც გამოწვეულია მოსახლეობის მიგრაციით. მიგრაციის მაჩვენებელი ბოლო წლებში განსაკუთრებით გაიზარდა. ეს მოცემულობა საფრთხეს უქმნის მუნიციპალიტეტში საბავშვო ბაღების ფუნქციონირებას.
ადგილობრივი ხელისუფლება მუშაობს მიგრაციის მაჩვენებლის შემცირებისათვის, ამ მხრივ მუნიციპალიტეტში ხორციელდება სოფლის მხარდამჭერი ინფრასტრუქტურული პროექტები, სოფლისმეურნეობის გაუმჯობესების და მეწარმეობის განვითარების მხარდამჭერი პროექტები, ტურიზმის განვითარების პროექტები, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყოს მიგტაციის მაჩვენებლის შემცირებას.

- **პერსონალის შრომის ანაზღაურება**

საფრთხეების ერთ-ერთი მაჩვენებელი არის ბაღის პერსონალის შრომის ანაზღაურება, რაც რათქმა უნდა არამიმზიდველს ხდის სკოლამდელ დაწესებულებაში დასაქმებას მცირე ანაზღაურების გამო.

სახელმწიფოს მიდგომა უნდა იყოს შესაბამისი აღმზრდელ პედაგოგის პროფესია უნდა იყოს მიმზიდველი ანაზღაურების მხრივ, რათა კვალიფიციური კადრები დაინტერესდნენ ბაღში დასაქმებით, ასევე უნდა იყოს წახალისების პოლიტიკა ინტერესის და მოტივაციის გაზრდისთვის.

- **კადრების გადინება;**

კომპეტენტური კადრების გადინება კიდევ ერთი საფრთხის მაჩვენებელია. ბოლო წლებში მოსახლეობის მიგრაციამ და სკოლამდელ დაწესებულებებში დაბალმა ანაზრაურებამ გამოიწვია კადრების გადინება მუნიციპალიტეტიდან. ხშირია ასევე აღმზრდელ პედაგოგების გადასვლა სკოლებში სადაც ანაზღაურება მაღალია.

4. სტრატეგიული მიმართულებები მიზნები და ამოცანები:

სტრატეგიული მიმართულება: უსაფრთხოება და დაცულობა

სტრატეგიული მიზანი 1;

სკოლამდელი დაწესებულებების უსაფრთხოებისა და დაცულობის მათ შორის დაწესებულების თანამშრომლების ფიზიკური და ემოციურ უსაფრთხოების დაცულობის გაუმჯობესება.

დასახული მიზნის მისაღწევად განისაზღვრა შემდები ამოცანები და ქვეამოცანები:

ამოცანა 1.1 ზრუნვა თითოეული ბავშვისა და ყველა თანამშრომლის ფიზიკური ჯანმრთელობისა და ემოციური უსაფრთხოების დაცვაზე;

1.1.1 საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავება;

1.1.2 ორგანიზაციის წესდების შინაგანაწესის და სამუშაო აღწერილობის დახვეწა

1.1.3 საგანმანათლებლო პერსონალისათვის საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების გაწერა.

1.1.4 პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფა

1.1.5 ბავშვთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მარეგულირებელი წესის განსაზღვრა;

1.1.6 ფანჯრებისა და მინის ტიხრების უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

1.1.7 კიბეების უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

ამოცანა 1.2 საგანმანათლებლო დაწესებულებებში არაძალადობრივი და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნა.

1.2.1 ბავშვთა რეფერირების მარეგულირებელი წესის შემნა

1.2.2 საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბავშვთა ძალადობაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა.

1.2.3 საგანმანათლებლო პერსონალის გადამზადება ბავშვთა რეფერირების საკითხში.

1.2.4 საგანმანათლებლო პერსონალის გადამზადება ბავშვთა უფლებების საკითხებში.

მოსალოდნელი შედეგები:
დასახული მიზნის განხორციელების შედეგად მოსალოდნელია შემდეგი შედეგების მიღწევა:

-უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა;
-კატასტროფების რისკის შემცირება და საგანგებო სიტუაციების მართვა;
-ბავშვთა ჯანმრთელობაზე ზრუნვა;
-ბავშვთა კეთილდღეობისთვის არაძალადობრივი გარემოს შექმნა;
-შექმნილია ყველა პირობა პერსონალის ღირსეული სამუსაო პირობებით უზრუნველყოფისთვის

შესაძლო რისკები:

დაკისრებულ პასუხისმგებლობებზე გულგრილი დამოკიდებულება

სტრატეგიული მიმართულება: კურიკულუმი და მეთოდოლოგია;

სტრატეგიული მიზანი 2

ეფექტიანი კურიკულუმის დანერგვა განხორციელება და
ზრუნვა ბავშვების ჰოლისტურ განვითარებაზე.

დასახული მიზნის მისაღწევად განისაზღვრა შემდები ამოცანები და ქვეამოცანები:

ამოცანა 2.1 ახალი კურიკულუმის „თ ა მ ა შ ი“ სასკოლო მზაობის პოგრამა „თამაში“- დანერგვა
- 2.1.1 ჯგუფებისა და ეზოების გარემოს მოწყობა კურიკულუმის შესაბამისად;
- 2.1.2 საბავშვო ბაღების საგანმანათლებლო რესურსით მომარაგება;
- 2.1.3 ეფექტური განრიგის შემუშავება;
- 2.1.4 საბავშვო ბაღებში სამასწავლებლოების მოწყობა;

ამოცანა 2.2 აღმზრდელ მასწავლებლების გადამზადება ახალი კურიკულუმი „თამაში“.
- 2.2.1 ტრენინგების ორგანიზება;
- 2.2.2 საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება

ამოცანა 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი.
- 2.3.1კურიკულუმის მონიტორინგის დოკუმენტის შექმნა;
- 2.3.2 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება;

მოსალოდნელი შედეგები:
დასახული მიზნის განხორციელების შედეგად მოსალოდნელია შემდეგი შედეგების მიღწევა:

-ბავშვის ჰოლისტურ განვითარებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნა;
-თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება;
-საგანმანათლებლო პერსონალის პროფესიული ზრდა;
-საგანმანათლებლო პროცესის ეფექტური მონიტორინგი და შეფასება

შესაძლო რისკები:
დაწესებულებების პერსონალის მხრიდან ინტერესი და მზაობა;
საგანმანათლებლო პერსონალის კომპეტენციები;

სტრატეგიული მიზანი 3
ინკლუზიური განათლება

დასახული მიზნის მისაღწევად განისაზღვრა შემდები ამოცანები და ქვეამოცანები:

ამოცანა 3.1 ბაღთან წვდომა
- 3.1.1 ინკლუზიის სტრატეგიის შემუშავება;
- 3.1.2 ბაღთან წვდომის ხელშეწყობა
- 3.1.3 რეგისტრაციის პროცედურების მოქნილობა

ამოცანა 3.2 **საგანმანათლებლო საჭიროებების იდენტიფიცირება და ადგილზე მხარდაჭერა:**
- 3.2.1 საგანმანათლებლო გარემოში საჭიროებების შეფასება და მორგება ბავშვების საჭიროებებზე
- 3.2.2 ინკლუზიის მხარდამჭერი პერსონალის კვალიფიკაცია ამაღლება
- 3.2.3 ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი გუნდის შექმნა
- 3.2.4 ტრანზიცია სახლიდან - ბაღში ბაღიდან - სკოლაში
- 3.2.5 მუნიციპალიტეტში არსებულ სერვისებთან თანამშრომლობის უზრუნველყოფა
- 3.2.6 ინკლუზიური განათლების პრაქტიკის მონიტორინგი და შეფასება

მოსალოდნელი შედეგები:
დასახული მიზნის განხორციელების შედეგად მოსალოდნელია შემდეგი შედეგების მიღწევა:

- უზრუნველყოფილია სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობა
- ბაღში ჩარიცხვის დროს პრიორიტეტი ენიჭება მოწყვლადი ოჯახის ბავშვებს
- დაწესებულებას აქვს მკაფიო გეგმა ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფისათვის
- დაწესებულების გარემო მორგებულია ყველა ბავშვის საჭიროებებზე
- დაწესებულება ზრუნავს ბავშვების ტრანზიციაზე ბაღიდან სკოლაში

შესაძლო რისკები:

ფინანსური რესურსი
ადამიანური რესურსი
კომპეტენციების არ ქონა

სტრატეგიული მიმართულება: ინფრასტრუქტურა

სტრატეგიული მიზანი 4

საბავშვო ბაღების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება
დასახული მიზნის მისაღწევად განისაზღვრა შემდები ამოცანები და ქვეამოცანები:

ამოცანა 4.1 საბავშვო ბაღების შენობების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;

4.1.1 საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია;

4.1.2. საბავშვო ბაღების კოსმეტიკური რემონტი;

4.1.3. საბავშვო ბაღებში პანდუსებისა და ადაფტირებული საპირფარეშოების მოწყობა;

4.1.4. საბავშვო ბაღებში ცენტრალური გათბობის მოწყობა;

4.1.5. საბავშვო ბაღების გაზიფიცირება

ამოცანა 4 .2 საბავშვო ბაღების ეზოების ინფრასტრუქტურის მოწყობგაუმჯობესება;

4.2.1 ბაღის ეზოების შემოღობვა;

4.2.2 საბავშვო ატრაქციონების მოწყობა;

4.2.3 ეზოს საფარის მოწყობა;

მოსალოდნელი შედეგები:

დასახული მიზნის განხორციელების შედეგად მოსალოდნელია შემდეგი შედეგების მიღწევა:

- საბავშვო ბაღების შენობებისა და ეზოების ინფრასტრუქტურის განახლება, მოწესრიგება;
- საბავშვო ბაღების შენობების ადაფტირება შ.შ.მ პირებისათვის;
- საბავშვო ბაღების ცენტრალური გათბობით უზრუნველყოფა;

შესაძლო რისკები:

- მწირი ფინანსური რესურსები;
- ელექტრონული შესყიდვის პროცედურები;

სტრატეგიული მიმართულება: კვება, სანიტარია - ჰიგიენა

სტრატეგიული მიზანი 5

კვების ორგანიზება, სანიტარულ ჰიგიენური ნორმები

დასახული მიზნის მისაღწევად განისაზღვრა შემდები ამოცანები და ქვეამოცანები:

ამოცანა 5.1 საბავშვო ბაღების კვების ორგანიზება

5.1.1 კვების უზრუნველყოფის მექანიზმის შემუშავება

5.1.2 პროდუქტების ენერგეტიკული ღირებულებებისა და ქიმიური შემადგენლობის ცხრილის შექმნა

5.1.3 ალერგიით ან სხვა კვებითი აუტანლობით დაავადებული ბავშვების კვების რეგულირების მექანიზმის შემუშავება;

5.1.4 ახალი მენიუს შექმნა;

5.1.5 კვების მიწოდება და უსაფრთხოება

5.1.6 კვების მიწოდების მდგრადობის უზრუნველყოფა

ამოცანა 5.2 სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვა

5.2.1 სანიტარულ ჰიგიენური ნორმაბის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმის შემუშავება;

5.2.2 სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვისთვის სოპების შემუშავება;

5.2.3 საბავშვო ბაღების მუდმივი წყალმომარაგების უზრუნველყოფა;

5.2.4 წყალანირების უზრუნველყოფა.

5.2.5 სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ მოცემული რეკომენდაციების შესრულება

მოსალოდნელი შედეგები:

საგანმანათლებლო დაწესებულებებში უზრუნველყოფილია უსაფრთხო და ჯანსაღი კვება და დაცულია სანიტარულ ჰიგიენური ნორმები.

შესაძლო რისკები:

ფინანსური რესურსების მობილიზება;
ელექტრონული შესყიდვის პროცედურები

სტრატეგიული მიმართულება: მატერიალურ ტექნიკური ბაზა

სტრატეგიული მიზანი 6:

მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება

დასახული მიზნის მისაღწევად განისაზღვრა შემდები ამოცანები და ქვეამოცანები:

ამოცანა 6.1 საბავშვო ბაღების ინვენტარის განახლება.

6.1.1 საბავშვო ბაღების უზრუნველყოფა სტანდარტების შესაბამისი ავეჯით,
6.1.2 რბილი ინვენტარის განახლება;
6.1.3 სამზარეულოს ინვენტარის განახლება;
6.1.4 ელექტრო ტექნიკის განახლება;
6.1.5 ბაღის ეზოებისთვის საჩრდილობლების მოწყობა;
6.1.6 სახანძრო უსაფრთხოების ინვენტარის განახლება

ამოცანა 6 .2 ტექნიკური ბაზის განახლება

6.2.1 კომპიუტერული ტექნიკის განახლება;
6.2.2 საგანმანათლებლო დაწესებულებების ინტერნეტ კავშირით უზრუნველყოფა;
6.2.3 საგანმანათლებლო დაწესებულებების გაზიფიცირება;

მოსალოდნელი შედეგები:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ბუნებრივი გაზით უზრუნველყოფა
საგანმანათლებლო დაწესებულების გამართული ფუნქციონირება;
ტექნოლოგიური პროგრესი;

შესაძლო რისკები:

ფინანსური რესურსების მობილიზება;
ელექტრონული შესყიდვის პროცედურები